უცხო ქვეყნების დაზვერვის როლი თურქეთის პოლიტიკურ და სამხედრო უსაფრთხოებაზე

დავით კუხალაშვილი
ისტორიის დოქტორი,
პროფესიული უსაფრთხოების დოქტორი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი.
საქართველო, ქ.თბილისი, ჩარგლის ქუჩა 73, 0179,
+995577771055. davit_kukhalashvili@ciu.edu.ge
ORCID 0009-0006-8249-296X
დაჩი დანელია
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის,
სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტის მაგისტრი.
საქართველო, ქ.თბილისი, ჩარგლის ქუჩა 73, 0179,
+995555167039. Dachi.Danelia@ciu.edu.ge
ORCID 0009-0008-6940-7622

აბსტრაქტი

თურქეთი რეგიონში დომნირებისათვის მებრძოლი სახელმწიფოა, რომლის წინააღმდეგ ხორციელდება სადაზვერვო აქტივობები. უახლესი ისტორიის ანალიზი აჩვენებს, რომ თურქეთი, როგორც სამიზნე სახელმწიფო უცხო ქვეყნების პოლიტიკური და სამხედრო ხასიათის სადაზვერვო შეღწევადობის საფრთხის ქვეშ იმყოფება. არსებობს პრაქტიკა იმისა, რომ თურქეთში შექმნილი პოლიტიკური პარტია გარდაიქმნა ტერორისტულ ორგანიზაც-

იად და ძირს უთხრის ქვეყნის პოლიტიკურ და სამხედრო სტაბილურობას. პოლიტიკური და სამხედრო დაზვერვის კუთხით ფიქსირდება ქვეყნის შიგნით და გარეთ მოქმედი სასულიერო სასწავლებლები, რომლებიც უხოური ცენტრებიდან ფინანსდებიან. თურქეთში განვითარებული პროცესების ანალიზი, სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო კუთხით საფრთხეების იდენტიფიცირება და სათანადო კლასიფიკატორის შედგენა სახელმწიფოს პოლიკიკური და სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო მასალა იქნება. იგი გამოადგება დარგის მკვლევრებსაც.

საკვანძო სიტყვები: თურქეთი; ტერორიზმი; დაზვერვა; კონტრდაზვერვა.

შესავალი

კვლევის მიზანი: გამოვიკვლიოთ უცხო ქვეყნების სადაზვერვო ქმედებების როლი თურქეთის პოლიტიკურ და სამხედრო უსაფრთხოებაზე

კვლევის ობიექტი: სადაზვერვო საქმიანობა

კვლევის საგანი: უცხო ქვეყნების სადაზვერვო ქმედებები თურქეთში და საერთშორისო არენაზე ამავე ქვეყნის წინააღმდეგ

ჰიპოტეზა

უცხო ქვეყნის სადაზვერვო შეღწევადობით შესაძლებელია სამიზნე ქვეყანაში ხელი შეეწყოს სამხედრო გადატრიალების ორგანიზების პროცესს. ამ პროცესის წარმატებისთ დასრულებისათვის შესაძლებელია სამიზნე ქვეყნის შიგნით და გარეთ, უცხო სახელმწიფოდან დაფინანსებით სასულიერო სკოლების გამოყენება, მათ შორის სადაზვერვო პროპაგანდის გავრცელების თვალსაზრისით. სახელმწიფოს პოლიტიკური დესტაბილიზაციისათვის მნიშვნელოვანია, ეთნიკური კუთხით შექმნილ პოლიტიკურ პარტიაზე სადაზვერვო შეღწევადობა, მის ტერორისტულ ორგანიზაციად გარდაქმნა, მორლური და ფინანსური მხარდაჭერა.

საკვლევი კითხვები:

რა ზეგავლენა აქვს დაზვერვას სამიზნე ქვეყნი პოლიტიკურ დესტაბილიზაციაზე?

რა კავშირში არის მზვერავი ქვეყნის სამხედრო დაზვერვა თურქეთის სამხედრო გადატრიალებასთან?

რა როლი შეასრულა სასულიერო სკოლებმა თურქეთის პოლიტიკურ დესტაბილიზაციაში?

რა როლი შეასრულა „ქურთისტანის მუშათა პარტიამ“ თურქეთის პოლიტიკურ დესტაბილიზაციაზე?

მეთოდები

კვლევაში გამოყენებულია კონტენტანალიზის მეთოდი.

შედეგები

ჰიპოტეზა დადასტურდა. გამოიკვეთა, რომ უცხო ქვეყნის სადაზვერვო შეღწევადობის ნიშნების მქონე ქმედებებით შეასაძლებელი გახდა სამიზნე ქვეყანაში სამხედრო გადატრიალების ორგანიზების პროცესზე ხელშეწყობა. თურქეთის პოლიტიკურ უსაფრთხოებაზე დამაზიანებლად იმოქმედა უცხო ქვეყნიდან მართულმა სასულიერო სასწავლებლების აქტივობებმა, რომლებიც სადაზვერვო ქმედებების ნიშნებს შეიცავდნენ. თურქეთის პოლიტიკურ უსაფრთხოებაზე დამაზიანებლად იმოქმედა უცხო ქვეყნიდან მართულმა სასულიერო სკოლების და ტერორისტული ორგანიზაციის მიერ განხორციელებულმა პროპაგანდისტულმა ქმედებებმა, რომლებიც თურქეთისადმი მტრულად განწყობილი ქვეყნების სადაზვერვო ინტერესების თანხვედრილი იყო. თურქეთის პოლიტიკური დესტაბილიზაციის მაინსპირირებელ ქმედებებს ახორციელებდა ეთნიკური ნიშნით შექმნილი „ქურთისტანის მუშათა პარტია“, რომლის ქმედებები შეიცავდა თურქეთისადმი მტრულად განწყობილი ქვეყნების თანხვედრილ სტრატეგიულ ინტერესს.

მსჯელობა

თურქეთის რესპუბლიკა უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობისა და პოლიტიკური ტრადიციების გათვალისწინებით მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო სახელმწიფოს წარმ-

ოადგენს. ორ კონტინენტზე მდებარე ქვეყანა საკუთარ თავში აერთიანებს აზიურ ღირებულებებსა და ევროპულ პრინციპებს, რაც თურქეთს, როგორც ორივე კონტინენტის ერთ-ერთ წამყვან და მნიშვნელოვან სახელმწიფოს, საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის გამორჩეულ წევრად აქცევს. მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეული მსოფლიო მნიშვნელობის მქონე პოლიტიკური მოვლენებით ხასიათდება, რამაც სამუდამოდ შეცვალა საერთაშორისო ურთიერთობა სისტემის ის სახე, რომელიც მანამდე არსებობდა. ცხადია, თურქეთის რესპუბლიკაც, რომელიც ჯერ კიდევ 1923 წელს შეიქმნა (The Birth of the Republic of Turkey, 2016). ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემდგომ, რაც პირველ მსოფლიო ომში მისი დამარცხების პირდაპირი შედეგი იყო, არ ჩამორჩა ცვალებად გეოპოლიტიკურ პროცესებს. მნიშვნელოვანი რეფორმებისა და ცვლილელების შედეგად თურქეთმა მოახერხა, დაეკავებინა მნიშვნელოვანი ადგილი „საერთაშორისო თანამეგობრობაში" და გამხდარიყო ერთ-ერთი მოწინავე სახელმწიფო კავკასიის რეგიონსა და ევრაზიის კონტინენტზე. თურქეთი ჯერ კიდევ 1952 წელს საბერძნეთთან ერთად, ნატოს გაფართოების პირველი ტალღის შედეგად ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი-სახელმწიფოების რიგს შეუერთდა. (North Atlantic Treaty Organization, Verification date: 18.02.2025) დღესდღეობით ის ერთადერთი სახელმწიფოა ორგანიზაციაში, რომელსაც ტერიტორია აზიის კონტინენტზეც გააჩნია. ამავდროულად თურქეთი ალიანსში შემავალი სახელმწიფოებიდან არმიის სიდიდის მაჩვენებლით მეორე ადგილს იკავებს. რესპუბლიკის ერთ-ერთ უმთავრეს პოლიტიკურ ინტერესს ევროსივრცეში ინტეგრაციაც წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ თურქეთის რესპუბლიკა ამ ორგანიზაციის წევრი არაა, ის რჩება, როგორც ევროკავშირის ერთ-ერთი უმთავრესი პარტნიორი როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ საკითხებში.

თურქეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანალიზისას ხშირად წავაწყდებით სახელმწიფოებრივი წყობის ძალადობრივი, სამხედრო გზით დამხობისა და ახალი მმართველ-

ობითი სისტემის ჩამოყალიბების მცდელობებს. (AlJazeera, Verific ation date: 25.02.2025) უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთში განხორციელდა 4 წარმატებული სამხედრო გადატრიალებება (1960, 1971, 1980, 1997 წწ.) და ამავე მიმართულებით ერთი წარუმატებელი მცდელობა (2016). თურქეთის რესპუბლიკის საშინაო პოლიტიკური ვითარებისა და საგარეო პოლიტიკური კურსის ფორმირების პროცესში 2016 წლის სახელმწიფო გადატრიალების წარუმატებელი მცდელობა წყალგამყოფ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს. აჯანყება, რომელიც სულ რაღაც ერთი ღამე გაგრძელდა და ასობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, თურქეთის პოლიტიკურ სივრცეში არსებული უთანხმოებისა და საფრთხეების შედეგად გამოწვეული პოლიტიკური დისბალანსის ცხადი გამოვლინება გახდა. სამხედრო აჯანყების ორგანიზატორად თურქული არმიის ის ნაწილი იყო მოაზრებული, რომელიც გამოეყო მთავარ შენაერთებს და დაარსა საბჭო სახელად „მშვიდობა სახლში“, რაც თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებლის, მუსტაფა ქემალ ათათურქის ცნობილი ფრაზის პირდაპირი მეტაფორაა. მათ მთავარ სამიზნეს თურქეთის სახელმწიფოს მმართველი ძირითადი ორგანოები და ინსტიტუტები, თავად პრეზიდენტი და რეჯეფ თაიფ ერდოღანი წარმოადგენდნენ. საინტერეოა ის ფუნდამენტური მიზეზები, რომლებიც საბჭომ გადატრიალების საბაბად დაასახელა: სეკულარიზმის ეროზია; დემოკრატიული მმართველობის აღმოფხვრა; ადამიანის უფლებების უგულებელყოფა და თურქეთის ლეგიტიმურობისა და მნიშვნელობის დაკარგვა საერთაშორისო ასპარეზზე. (AMB. W. ROBERT PEARSON, July 16, 2016). საბჭოს წევრი გენერლებისა და სამხედრო პერსონალის მოსაზრებით, ერდოღანი თურქეთში ავტორიტარული რეჟიმის დამყარებასა და პიროვნების კულტის შექმნას გეგმავდა, რაც ეწინააღმდეგებოდა თურქეთისთვის მნიშვნელოვან დემოკრატიულ პრინციპებსა და ღირებულებებს. სწორედ ამ მოტივით, საბჭოს დაქვემდებარების ქვეშ მყოფმა შენაერთებმა სცადეს მნიშვნელოვანი შენობების ხელში ჩაგდება, ქვეყნის უდიდეს ქალაქ სტამბოლში, თურქეთის დედაქალაქ ანკარაში, მარმარისში და სხვ.

საყურადღებოა ისიც, რომ ერდოღანი გადატრიალების პროცესში მარმარისში დღესასწაულის აღსანიშნად იმყოფებოდა, რაც ცხადყოფს იმას, რომ აჯანყების ორგანიზატორებმა სპეციალურად შეარჩიეს დრო, როდესაც ქვეყნის პრეზიდენტი არ იქნებოდა ქვეყნის მნიშვნელოვან ქალაქებში, როგორიცაა ანკარა ან სტამბოლი და ისინი უფრო მარტივად და სწრაფად შეძლებდნენ არსებული ხელისუფლების ძალადობრივი გზით გადატრიალებას. 2016 წლის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის უნიკალურობას ხაზს უსვამს თანამედროვე ტექნოლოგიისა და სოციალური ქსელის აქტიური გამოყენებაც. პროცესის მსვლელობისას ერდოღანი სწორედ სოციალური მედიის დახმარებით ეკონტაქტებოდა მის მხარდამჭერებს, მოუწოდებდა მათ, გასულიყვნენ ქუჩებში და შეწინააღმდეგებოდნენ ქვეყნის მოღალატეებს. პრეზიდენტის განცხადებით მოტივირებულმა თურქებმა ანკარასა და სტამბულში მნიშვნელოვანი ადგილები დაიკავეს და აჯანყებაში მონაწილე სამხედრო შენაერთებს საკუთარი მიზნის განხორციელებაში უშლიდნენ ხელს. შემდგომში მათ სხვადასხვა საინფორმაციო წყაროს შეფასებით „დემოკრატიის მცველები" ეწოდათ. (Klaus Jurgens, 2021).

2016 წლის აჯანყების მცდელობისა და მისი შემდგომი პროცესების ანალიზისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მუჰამედ ფეტჰულა გიულენს. იგი ცნობილი თურქი ბიზნესმენი და მეცნიერია, რომელიც ისლამისტური მოსაზრებებითა და ნეოოტომანისტური შეხედულებებით გამოირჩეოდა. რელიგიური მოღვაწე 1999 წლიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში, პენსილვანიაში ცხოვრობს და მას 2017 წელს თურქეთის ხელისუფლებამ მოქალაქეობის უფლება ჩამოართვა. (TM, 2017).

მუჰამედ ფეთჰულა დამაარსებელი და ლიდერია ორგანიზაციისა, რომელიც „გიულენის მოძრაობის" სახელითაა ცნობილი. ორგანიზაცია, რომელიც სუნისტური ისლამის იდეოლოგიაზეა დაფუძნებული, თურქეთის ხელისუფლების მიერ ტერორისტულ ორგანიზაციადაა შეფასებული. ერდოღანის მთავრობის მიერ გაკეთებული განცხადებების თანახმად, მათ აქვთ ზუსტი

ინფორმაცია და მტკიცებულებები, რაც „გიულენის მოძრაობის" კავშირს 2016 წლის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობასთან, გეგმის უკან კი სწორედ გიულენის დგომას ადასტურებს, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებიდან ახდენდა მოვლენათა ორგანიზებას. (Press, 2017). ამ ბრალდებას კი თავად გიულენი უარყოფს. ფეთჰულა გიულენთან დაკავშირებულმა საკითხებმა მნიშვნელოვანი ცვლილელები გამოიწვია თურქეთის როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკურ კურსში. განსაკუთრებით დაიძაბა ურთიერთობა თურქეთის რესპუბლიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. თურქეთის ხელისუფლების განცხადებით, აშშ გიულენის თავშესაფარს წარმოადგენდა და ის განუწყვეტლივ ითხოვდა მის ექსტრადიციას ამერიკიდან, რაზეც აშშ-სგან უარყოფით პასუხს იღებდა. (Amy La Porte, Ivan Watson and Gul Tuysuz, 2016).

გიულენთან სავარაუდო კავშირების ბრალდებით მასობრივი დაპატიმრებებისას 77 ათასზე მეტი ადამიანი დააკავეს, ხოლო 160 ათასზე მეტი გაათავისუფლეს სახელმწიფო სექტორში დაკავებული თანამდებობებიდან. განსაკუთრებული ზეწოლა იქნა მიტანილი სამხედრო პირებზე, მოსამართლეებსა და საგანმანათლებლო სფეროში ჩართულ ადამიანებზე. დაკავებული იქნა სულ მცირე 10 ათასი ჯარისკაცი, დაახლოებით 2750 მოსამართლე და სწავლების ლიცენზია გაუუქმდა კერძო და საჯარო საგანმანათლებლო ცენტრებში მომუშავე 35 ათასზე მეტ ადამიანს, მას შემდეგ, რაც თურქეთის ხელისუფლებამ ისინი გიულენის ერთგულ მუშაკებად გამოაცხადა. (Sanchez, 2016).

საინტერესოა ისიც, რომ ზოგიერთი სახელმწიფოს ოფიციალური განცხადების თანახმად, ისინი ეწინააღმდეგებიან ერდოღანის მიერ მიღებულ კონტრზომებს. მაგალითად, 2017 წლის მარტში გერმანიის სადაზვერვო სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ გერმანია „არ იყო დარწმუნებული ერდოღანის მიერ სახელმწიფო გადატრიალებაში გიულენის დადანაშაულების ლეგიტიმურობაში". (Barigazzi, 2017) იმავე თვეში ბრიტანეთის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა შერჩეული კომიტეტის წარმო-

მადგენელმა განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი გიულენისტი მონაწილეობდა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში, არ იქნა აღმოჩენილი მყარი მტკიცებულება იმისა, რომ ფეთჰულა გიულენი იყო მთავარი ორგანიზატორი წარუმ-ატებელი გადატრიალებისა და არ არსებობდა მტკიცე საბაბი, რომელიც გაერთიანებული სამეფოს მიერ გიულენის მოძრაობის „ტერორისტულ ორგანიზაციად“ შერაცხვას გაამართლებდა. (PARLAMENT.UK, 2017).

განხილულ მოვლენებთან და ფაქტებთან მიმართებაში საყურადღება ღია წყაროებში არსებული ინფორმაციაც. თურქეთის სადაზვერვო სამსახურის მიერ მოპოვებული მონაცემების თანახმად სახელმწიფო გადატრიალებაში მონაწილეობდა ორგანიზაცია „ფეტო“, რომელიც „მოქმედებს 170 ქვეყანაში, მისი მთავარი შტაბი მდებარეობს აშშ-ში და იგი მუშაობს უცხო ქვეყნების სადაზვერვო სამსახურების ეგიდით“. საყურადღებოა ევროკავშირის სადაზვერვო ცენტრის მიერ (EUINTCEN) 2016 წლის აგვისტოში გაკეთებული დასკვნა, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთში The Times, სადაც ნათქვამი იყო: „ნაკლებად დამაჯერებელია, რომ გიულენმა უშუალოდ ითამაშა როლო სახელმწიფო გადატრიალებაში.“ (Euronews, 2017). გერმანიისა და დიდი ბრიტანეთის ოფიციალური განცხადებების ანალიზიც მიანიშნებდა, რომ ეს ქვეყნები გიულენის გადატრიალების მონაწილეობის შესახებ მტკიცებულებითი დოკუმენტების ნაკლებობას განიცდიდნენ. აღნიშნული ინფორმაციები მიანიშნებენ და ამყარებენ მოსაზრებას თურქეთში სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზებაში უცხო ქვეყნების სადაზვერვო სამსახურების მონაწილეობის შესახებ.

თურქეთის სახელმწიფოებრიობისა და პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო სტაბილურობის შენარჩუნებისთვის ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევას ტერორიზმი წარმოადგენდა და წარმოადგენს. გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე თურქეთი, არაერთხელ გამხდარა შიდა თუ გარე მტრულად განწყობილი ორგანიზაციებისა და დაჯგუფებების მიერ განხორციელებული ტერორისტული აქტების სამიზნე.

საინტერესო და მნიშვნელოვანია ტერორისტული აქტების მახასიათებლებისა და მათ მიერ მიღებული შედეგების განხილვა კონკრეტული ტერორისტული ორგანიზაციის „ქურთისტანის მუშათა პარტიის“ („PKK“) მაგალითზე, რომელიც თურქეთისთვის ფუნდამენტურ საფრთხესა და პრობლემას წარმოადგენს და იგი 1949 წელს დაბადებული, ეროვნებით ქურთი თურქეთის მოქალაქის აბდულა ოჯალანის მიერ არის ჩამოყალიბებული. იგი თურქეთის ტერიტორიაზე ყველაზე აქტიურ სეპარატისტულ-ტერორისტულ ორგანიზაციაა, რომელიც როგორც, შეიარაღებული პოლიტიკური გაერთიანება, პარტიზანულ ომს აწარმოებს თურქეთისა და ახლო აღმოსავლეთის სხვადასხვა სახელმწიფოს, განსაკუთრებით ერაყის ტერიტორიაზე. (IRANIAN KURDISTAN HUMAN RIGHTS WATH, Verified: 18.02.2025) „PKK“-ის საწყის მოტივს ქურთებით მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიების გაერთიანებით ერთიანი ქურთისტანის სახელმწიფოს ჩამოყალიბება წარმოადგენდა, თუმცა მათი სამიზნე ობიექტები გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან შეიცვალა. დღესდღეობით ორგანიზაცია თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქურთების ავტონომიისა და პოლიტიკური და კულტურული უფლებების გაზრდის არგუმენტით მოქმედებს. თურქეთში არსებული დაძაბული პოლიტიკური ვითარების ფონზე, რომლის მთავარ მიზეზსაც მემარცხენე და მემარჯვენე პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორის დაპირისპირება წარმოადგენდა (ეს პროცესი 1980 წელს სახელმწიფო გადატრიალებით დასრულდა), ოჯალანმა დრო იხელთა და 1978 წელს ოფიციალურად დაარსა ქურთისტანის მუშათა პარტია. მის მთავარ მოკავშირეს სირიის სახელმწიფო წარმოადგენდა, ერთი წლის შემდეგ ის სწორედ სირიაში გაიქცა და მოღვაწეობის დანარჩენი პერიოდის განმავლობაში მის მიერ დაარსებულ პარტიას სწორედ იქიდან მართავდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ გარდა პოლიტიკური და სამხედრო ფაქტორებისა, პარტიის არსებობის განუყოფელ ნაწილს იდეოლოგიური სწავლება წარმოადგენდა. ქურთისტანის მუშათა პარტიის ძირითადი სახელმძღვანელო იდეოლოგია მარქსიზმ-

ლენინიზმია, რომელიც ქურთისტანის ისტორიისა და მემკვიდრეობის მაგალითსაა მორგებული. ქურთისტანის მუშათა პარტიის იდეოლოგიური ფილოსოფია მრავალ მოსაზრებასა და მიმდინარეობას ეფუძნება, რომელთაგანაც ყველაზე მნიშვნელოვანია: ქურთისტანული ნაციონალიზმი, დემოკრატიული კონფედერალიზმი, ანტიკაპიტალიზმი, პროგრესივიზმი და სხვ. განსაკუთრებით საინტერესოა ჯინეოლოგია, იდეოლოგია, რომელიც თავად პარტიის დამაარსებლის, აბდულა ოჯალანის მიერაა შექმნილი. ჯინეოლოგია ფემინისტური მიმდინარეობაა, რომელიც ახლო აღმოსავლეთში ქალების მიერ არსებულ დისკრიმინაციულ მოსაზრებებსა და წესებს ეწინააღმდეგება. ოჯალანის განცხადებით, „სახელმწიფო ვერ იქნება თავისუფალი, თუ უპირველესად მისი ქალები არ იქნებიან თავისუფალნი". (Benedetta Argentieri, 2015) მნიშვნელოვანია აღინიშნოს სირიის ხელისუფლების მხრიდან ქურთისტანის მუშათა პარტიის სამხედრო მხარდაჭერა, რომლის მეშვეობითაც ოჯალანმა შეძლო, ლიბანის ტერიტორიაზე დაეარსებინა ორი საწვრთნელი ბაზა, რომლებშიც ქურთი სეპარატისტები სამხედროსთან ერთად პოლიტიკური და იდეოლოგიური სწავლებას მიღებას შეძლებდნენ. მოღვაწეობის განმავლობაში ოჯალანს არაერთ სახელმწიფოში მოუწია მოკლე დროით ცხოვრება. სირიიდან გაქცევის შემდეგ ის თავიდან რუსეთში იმალებოდა, მალე მას ბერძენმა დიპლომატებმა შესთავაზეს პოლიტიკური თავშესაფარი, თუმცა ოჯალანმა არჩევანი იტალიაზე შეაჩერა. საცხოვრებლის კიდევ მრავალჯერ შეცვლის შემდგომ ის საბოლოოდ კენიის დედაქალაქ ნაირობში 1999 წლის 15 თებერვალს იქნა დაპატიმრებული. (Ferhat Ünlü, Verified: 18. 02.2025). სპეცოპერაცია თურქეთის ეროვნული სადაზვერვო ორგანიზაციის მიერ იქნა ჩატარებული ამერიკის სადაზვერვო სამსახურის, CIA-ს დახმარებით. თურქული წყაროს თანახმად, ამერიკელებმა ოჯალანი თურქეთში სასამართლოზე წარდგენის მიზნით გადაიყვანეს და თურქეთის ხელისუფლებას გადასცეს. (Hatice Kamer, 2024) ოჯალანის დაკავებას ევროპის, თურქეთის, ერაყისა და ირანის არაერთ ქალაქში ქურთების მიერ ორგანიზ-

ებული პროტესტი მოჰყვა. სხვადასხვა ჰუმანიტარული ორგანიზაციის მიერ ოჯალანის სასამართლო პროცესია ეჭვქვეშ იქნა დაყენებული. მაგალითად AI-მა (Amnesty International) სასამართლოს ხელახლა ჩატარება მოითხოვა, ხოლო Humans Right Watch საეჭვოდ თვლის იმ ფაქტს, რომ დაცვის მიერ წარმოდგენილი მოწმეები სასამართლოზე არ იმყოფებოდნენ. (Hacaoglu, 1999) საბოლოოდ, 1999 წლის 29 ივნისს სასამართლომ ოჯალანი სახელმწიფო ღალატსა და სეპარატიზმში ცნო დამნაშავედ და სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, თუმცა მას შემდეგ, რაც 2002 წელს თურქეთმა სასჯელის უკიდურესი ფორმა-სიკვდილით დასჯა გააუქმა, ოჯალანს სამუდამო პატიმრობა შეუფარდეს. ის დღესაც ცოცხალია და მისი პატიმრობა სრულიად იზოლირებულ სივრცეში გრძელდება, სადაც ვიზიტორების დაშვება მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში ხდება.

ოჯალანის მიერ დაარსებული ქურთისტანის მუშათა პარტია 1984 წლიდან თურქეთთან ასიმეტრიული ომის წარმოების პროცესშია ჩაბმული და მას შემდეგ მათ მიერ არაერთი ტერორისტული აქტი იქნა განხორციელებული. მათი მთავარი შტაბი ქანდილის მთებში მდებარეობს. „PKK“ ასოცირებულია ისეთ ორგანიზაციებთან, დაჯგუფებებთან და პოლიტიკურ პარტიებთან, როგორიცაა „დემოკრატიული ერთობის პარტია“ (PYD), „სახალხო თავდაცვის შენაერთები''(YPG), „მარქსისტულ-ლენინისტური კომუნისტური პარტია'' (MLKP), „ქურთისტანის პატრიოტული ერთობა“ (PUK) და სხვ.

საინტერესოა საერთაშორისო დონეზე „PKK“-ს აღიარების საკითხიც. მას ტერორისტულ დაჯგუფებად ცნობს თურქეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, ევროკავშირი, კანადა, საფრანგეთი, ახალი ზელანდია და გაერთიანებული სამეფო. აღსანიშნავია, რომ ამ მოსაზრებას კატეგორიულად ეწინააღმდეგება ზოგიერთი სპეციალისტი და კონფლიქტოლოგი. (Bloomberg News, 2014). ქურთისტანის მუშათა პარტიის სტატუსზე მსჯელობა 2016 წლიდან კიდევ ერთხელ განახლდა, მას შემდეგ, რაც დაჯგუფებამ ისევ აქტიურად დაიწყო ტერორისტული მახასიათებლების

მქონე აქტების ხშირი განხორციელება. 2018 წელს „ევროკავშირის იუსტიციის სასამართლომ“ (Court of Justice of European Union) „PKK“ ტერორისტულ ორგანიზაციად ცნო. (Prakken d'Oliveira , 2018) ათწლეულების განმავლობაში პარტიის/ტერორისტული ორგანიზაციის აქტივობებს 40,000-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, რომელთა აბსოლუტურ უმრავლესობასაც ქურთი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები შეადგენენ. უნდა აღინიშნოს, რომ პარტიის/ტერორისტული ორგანიზაციის წინააღმდეგ თურქეთის ხელისუფლება იძულებულია ჩაატაროს სპეცოპერაციები, რომლის დროსაც ფიქსირდება „მშვიდობიანი მოსახლეობის უმოწყალოდ განადგურება“. (crisisgroup, 2015) თურქეთის ხელისუფლების წინააღმდეგ ქურთისტანის მუშათა პარტიის ტერორისტულმა დაჯგუფებებმა არაერთხელ დაბომბეს სხვადასხვა ქალაქის ცენტრები. ამ პროცესების პარალელურად ისინი აქტიურად იყენებდნენ ე.წ. „ბავშვ-მებრძოლებსაც“. უნდა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით ქურთისტანის მუშათა პარტია ყველაზე მაღალშემოსავლიან ტერორისტულ ორგანიზაციათა ჯგუფში 100-180 მილიონის ოდენობის ბიუჯეტით მე-6 ადგილს იკავებს, მისი შემოსავალის ძირითად წყაროს კი სხვა ტერორისტული დაჯგუფებების მსგავსად ნარკოტიკებით, კერძოდ ჰეროინითა და კანაფით ვაჭრობა წარმოადგენს.

დასკვნა

უცხო ქვეყნების სადაზვერვო აქტივობებისათვის მოწყვლად სექტორს თურქეთის შეიარაღებული ძალები წარმოადგენდა. როგორც განვითარებული მოვლენები აჩვენებს, თურქეთისადმი მტრულად განწყობილი სახელმწიფოთა სამხედრო და პოლიტიკური დაზვერვის საქმიანობისათვის ხელსაყრელი პირობაა. აღნიშნული ვითარება კი წარმოადგენდა იდენტიფიცირებულ საფრთხეს, რომლის ნეიტრალიზაცია/ზემოქმედების რისკის შემცირება თურქეთის სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო უწყების წარმატებული საქმიანობის შედეგია. ტერორისტული ორგანიზაციის „ქურთისტანის მუშათა პარტიის“ საქმიანობა თურქეთის პოლიტიკურ უსაფრთხოებაზე მადესტაბილიზირე-

ბელი ძალის მქონედ. ამ ორგანიზაციის ძირითად სამიზნე ობიექტებს თურქეთის ხელისუფლება და საზოგადოება წარმოადგენს. ამ ორგანიზაციის ქმედებები თანხვედრაშია თურქეთისადმი მტრულად განწყობილი ქვეყნების სადაზვერვო ინტერესებთან.

უცხო სახელმწიფოთა მხრიდან განხორციელებული სადაზვერვო აქტივობების მიმართულებით საფრთხის იდენტიფიცირების ხელშემწყობი კლასიფიკატორი:

☞ სათანადო სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო კონტროლის არარსებობის პირობებში სახელმწიფოს პოლიტიკურ და სამხედრო უსაფრთხოებაზე დამაზიანებელი შედეგის მაინსპირირებელი გარემოება შეიძლება გახდეს მზვერავ სახელმწიფოში სამიზნე ქვეყნის სამხედრო პირის სწავლების პროცესი, სადაც მაღალია მისი გადაბირების ალბათობა;

☞ პოლიტიკური დესტაბილიზაციის მიღწევა შესაძლებელია:

ა) გადაწყვეტილების მიღებისას ხელისუფლება აღჭურვილია საფრთხის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციით და არ ახდენს მის გათვალისწინებას;

ბ) გადაწყვეტილების მიღებისას ხელისუფლება არ არის აღჭურვილი საფრთხის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციით და არ აქვს მისი გათვალისწინების შესაძლებლობა;

☞ სამიზნე ქვეყნის რელიგიური სკოლები და სამოქალაქო რელიგიური დაჯგუფებები შესაძლებელია წარმოადგენდნენ მოწყვლად სეგმენტს უცხო ქვეყნის პოლიტიკური და სამხედრო დაზვერვის ინტერესების განსახორციელებლად, მათ შორის პოლიტიკური დესტაბილიზაციის ინსპირირებისათვის;

☞ შეიარაღებულ ძალებში საიდუმლო ორგანიზაციის ჩამოყალიბება ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური დესტაბილიზაციის საფუძველი შეიძლება გახდეს. ორგანიზაციის საქმიანობაში შესაძლოა პოლიტიკოსების, სამხედრო პერსონალისა და ჟურნალისტების კლასიფიცირება, თურქეთის მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მეთვალყურეობა და სეკულარიზმის დაცვა შედიოდეს;

☞ ხელისუფლებისათვის შეიარაღებული ძალების მიერ შეთავაზებული მემორანდუმი შესაძლოა წარმოადგენდეს შეიარაღებული ძალების საარჩევნო პროცესში ჩარევის, პოლიტიკური კრიზისის ინსპირირების საფრთხეს. აღნიშნული ვითარების მიღწევა შესაძლებელია, როდესაც გადაწყვეტილების მიღებისას ხელისუფლება ხელმძღვანელობს „მე“-ს პრინციპით, რომლის დროს გამოირიცხება პროცესში სპეცსამსახურების, დარგობრივი სპეციალისტების, მეცნიერების მონაწილეობით სამეცნიერო კვლევების ორგანიზება უსაფრთხო გადაწყვეტილების მისაღებად;

☞ სამხედრო და სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის სადაზვერვო საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია მასმედიის, სოციალური ქსელის აქტიური გამოყენება;

☞ სახელმწიფოს ხელისუფლების ძალადობრივი დამხობის პროცესი შესაძლოა იმართებოდეს უცხო სახელმწიფოების სადაზვერვო სამსახურების მეშვეობით, მზვერავ ქვეყანაში მცხოვრები დაზვერვის ობიექტი ქვეყნის მიერ დევნილი პირის ან მის მიერ დაარსებული რელიგიური ორგანიზაციების დახმარებით;

☞ სახელმწიფოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო უსაფრთხოებაზე დამაზიანებელ ზემომოქმედებას იწვევს ტერორიზმისათვის მოწყვლადი კონკრეტული ჯგუფები და იდეოლოგიური მოძრაობები, რომელთაც პოლიტიკური, სოციალური და რელიგიური მოტივები ამოძრავებთ. მათი ქმედების მნიშვნელოვან შედეგებს შესაძლოა წარმოადგენდნენ სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილების რღვევა, უცხო ქვეყნების ინტერესების გატარების ხარჯზე ანარქიული მდგომარეობის შექმნა;

☞ პოლიტიკური პარტიები და ტერორისტული ორგანიზაციები სახელმწიფოთა მხრიდან სადაზვერვო შეღწევადობის ობიექტებს წარმოადგენენ. ტერორისტულ ორგანიზაციად ჩამოყალიბებამდე მას პოლიტიკური პარტიის გამოცდილება შეიძლება გააჩნდეს, რის გამოც ამ საფრთხის თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო სამსახურებმა პოლიტიკური პარტიის შესაძლო დანაშაულებრივ კავშირებზე

კონტროლი უნდა დააწესონ და გაატარონ პრევენციული ღონიძ-იებები;

☞ პოლიტიკური დესტაბილიზაციის ინსპირირებისათვის ხელსაყრელ პირობას წარმოადგენს არსებული ხელისუფლების და წესწყობილების ძალადობრივი დამხობის კუთხით საზოგად-ოებრივი აზრის ფორმირება და ამ მიზნით მასმედიის საშუალ-ებებში ინფორმაციის განთავსება და გავრცელება. შესაბამისად, სამიზნე ქვეყნის სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო უწყებებმა კონტროლი უნდა იქონიოს საკუთარი ქვეყნის ხელისუფლების და წესწყობილების ძალადობრივი დამხობის კუთხით საზო-გადოებრივი აზრის ფორმირებაზე მომუშავე მასმედიის საშუ-ალებებზე და მოახდინოს სათანადო პრევენციული ღონისძიე-ბების გატარება;

☞ ტერორისტული ორგანიზაციის ლიდერის მხარდამჭერი უცხო სახელმწიფოების მხრიდან მასზე თავშესაფრის მიცემა სადაზვერვო შეღწევადობის ნიშნებს შეიცავს და ლიდერის მხრიდან კუთვნილების სახელმწიფოს მიმართ დანაშაულებრივი ქმედებების ორგანიზაციული პროცესის ხელშემწყობია. შესაბ-ამისად, სამიზნე სახელმწიფოს სპეცსამსახურების მოვალეობაა, კონტროლი დააწესოს ტერორისტული ორგანიზაციის ლიდერის და წევრების კავშირებზე უცხო სახელმწიფოებთან და მოახდ-ინოს სათანადო პრევენციული ღონისძიების გატარება;

☞ ტერორისტული ორგანიზაციის ლიდერის მხარდამჭერი პროტესტები საკუთარ და უცხო სახელმწიფოებში სამიზნე ქვეყ-ნის დისკრედიტაცია-კომპრომეტაციის, სამიზნე ქვეყნის პოლ-იტიკური დესტაბილიზაციის მიზნით ხორციელდება და იგი როგორც სადაზვერვო ზეგავლენის, ისე შეღწევადობის ნიშნებს შეიცავს. შესაბამისად, სამიზნე ქვეყნის სპეცსამსახურების შესწ-ავლის მიმართულებას უნდა წარმოადგენდეს საკუთარ და უცხო სახელმწიფოებში ტერორისტული ორგანიზაციის ის კავშირები, რომლებიც კუთვნილების სახელმწიფოს ხელისუფლების დის-კრედიტაცია-კომპრომეტაციის ორგანიზებისათვის ხორციელ-დება;

☞ ტერორისტული ორგანიზაციის უცხო ქვეყნის სადაზვერვო მხარდაჭერის შენიღბვის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია პოლიტიკური პარტიის, ტერორისტული ორგანიზაციის საკუთარი მიზნებით გამოყენება, შემოსავალის წყაროებზე (მათ შორის ნარკოტიკებვით ვაჭრობა) მისაწვდომობის უზრუნველყოფით.

გამოყენებული ლიტერატურა:

Amy La Porte, Ivan Watson and Gul Tuysuz. (2016, July 16). *Who is Fethullah Gulen, the man blamed for coup attempt in Turkey?* Retrieved from CNN: https://edition.cnn.com/2016/07/16/middleeast/fethullah-gulen-profile/index.html.

C. G. (2025, January 20). *Türkiye's PKK Conflict: A Visual Explainer* . Retrieved from crisisgroup.org: https://www.crisisgroup.org/content/turkiyes-pkk-conflict-visual-explainer.

Ünlü, F. (n.d.). - *Türkiye Öcalan için Kenya'ya para Verdi* .

AlJazeera . (Verification date: 25.02.2025). *A history of Turkish coups* . Retrieved from AlJazeera : https://www.aljazeera.com/news/2016/7/16/timeline-a-history-of-turkish-coups.

AMB. W. ROBERT PEARSON. (July 16, 2016). *What Caused the Turkish Coup Attempt*. Retrieved from POLITICOMAGAZINE: https://www.politico.com/magazine/story/2016/07/what-caused-the-turkish-coup-attempt-214057/

Barigazzi, J. (2017 , March 19). *Erdoğan attacks Merkel again Relations between Ankara and Berlin continue to worsen.* Retrieved from POLITICO : https://www.politico.eu/article/Erdogan-attacks-merkel-again/

Benedetta Argentieri. (2015, July 30). *These female Kurdish soldiers wear their femininity with pride*. Retrieved from QUARTZ: https://qz.com/467159/these-female-kurdish-soldiers-wear-their-femininity-with-pride

Benedetta Argentieri. (2015, July 30). *These female Kurdish soldiers wear their femininity with pride*. Retrieved from QUARTZ: https://qz.com/467159/these-female-kurdish-soldiers-wear-their-femininity-with-pride

Bloomberg News . (2014, AUGUST 20). *Kurdish Fighters are not terrorists*. Retrieved from Bloomberg News : https://www.Bloomberg.com/view/articles/2014-08-20/kurdish-fighters-aren-t-terrorists

crisisgroup. (2015, January 20). *Türkiye's PKK Conflict: A Visual Explainer*. Retrieved from crisisgroup: https://www.Crisisgroup.org/content/turkiyes-pkk-conflict-visual-explainer

Euronews. (2017, July 13). *Batılı istihbarat örgütlerinin 15 Temmuz raporları*. Retrieved from Euronews: https://tr.euronews.com/2017/07/13/batili-istihbarat-orgutlerinin-15-temmuz-raporlari

Ferhat Ünlü . (Verified: 18.02.2025). *Türkiye Öcalan için Kenya'ya para verdi*. Retrieved from SABAH: https://arsiv.sabah.com.tr/2007/07/17/haber,025EFB746B684ED8B16B1759BE71DE6F.html

Hacaoglu, S. (1999, Jun 29). *OCALAN SETENCED TO DEATH*. Retrieved from The Argus-Press – Google News Archive Search: https://news.google.com/newspapers?nid=1988&dat=19990629&id=uEYiAAAAIBAJ&pg=1200,5352234&hl=en

Hatice Kamer. (2024, Ekim 25). *Öcalan'ın mesajı Diyarbakır'da nasıl yorumlandı?*. Retrieved from BBC Türkçe: https://www.bbc.com/turkce/articles/c9qlv0432qjo

IRANIAN KURDISTAN HUMAN RIGHTS WATH. (Verified: 18.02.2025). *Anniversary of the historic order of Abdullah Ocalan*. Retrieved from IRANIAN KURDISTAN HUMAN RIGHTS WATH: https://www.ikhrw.com/en/article/anniversa ry-of-the-historic-order-of-abdullah-ocalan/

Klaus Jurgens. (2021, Jul 15). *July 15, 2016: The night Turkey stood up for democracy*. Retrieved from DAILY SABAH: https://www.

dailysabah.com/opinion/op-ed/july-15-2016-the-night-turkey-stood-up-for-democracy

Klaus Jurgens. (2021, Jul 15). *July 15, 2016: The night Turkey stood up for democracy*. Retrieved from DAILY SABAH: https://www .dailysabah.com/opinion/op-ed/july-15-2016-the-night-turkey-stood-up-for-democracy

New Zealand History . (2016). The Birth of the Republic of Turkey, 1920-23. *NZ HISTORY*, 10.

New Zealand History . (2016). - The Birth of the Republic of Turkey, 1920-23 . *NZ HISTORY*, 10.

North Atlantic Treaty Organization. (Verification date: 18.02.2025). *MY COUNTRY AND NATO TÜRKIYE AND NATO* . Retrieved from NORTH ATLANTIC TREATY ORGANIZATION: HTTPS: //WWW.NATO.INT/CPS/EN/NATOHQ/DECLASSIFIED_19104 8.HTM

PARLAMENT.UK. (2017, March 23). *The UK's relations with Turkey, 3The coup attempt, and the 'Gülenists' The coup attempt of 15 July 2016*. Retrieved from PARLAMENT.UK: https://publicat ions.parliament.uk/pa/cm201617/cmselect/cmfaff/615/61507.ht m#_idTextAnchor067

Prakken d'Oliveira . (2018, November 15). *European Court: decisions placing the PKK on the list of terrorist organizations annulled* . Retrieved from Prakken d'Oliveira HUMAN RIGHTS LAWY ERS:https://www.prakkendoliveira.nl/en/news/2018/european-court-decisions-placing-the-pkk-on-the-list-of-terrorist-organizations-annulled

Press, A. (2017, January 11). *Turkey arrests 60 businessmen for alleged Gulen ties*. Retrieved from ARABNEWS : https://www.Arab news. com/node/1037486/amp

Sanchez, S. M. (2016, July 17). *Turkey coup attempt: Erdogan rounds up suspected plotters*. Retrieved from CNN: https:// edition. cnn.com/2016/07/17/asia/turkey-attempted-coup /index. Html

The Birth of the Republic of Turkey, 1.-2. (2016). *Birth of the Turkish Republic*. Retrieved from NZ HISTORY: https://nzhistory.govt.nz/war/ottoman-empire/birth-of-turkey

TM. (2017, June 5). *TURKISH MINTE*. Retrieved from Turkey to revoke citizenship of 130 abroad including Gülen, HDP deputies: https://www.turkishminute.com/2017/06/05/turkey-to-revoke-citizenship-of-130-abroad-including-gulen-hdp-deputies/

Makaradze, E. (2024). Analysis of Two Main Political Doctrines of Modern Turkiye. BULLETIN OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES (vol. 18: no. 1. p.158-164). Publishing House of the Georgian Academy of Sciences

Makaradze, E. (2019). Issues of intercultural dialogue and national identity in modern Turkey. *Herald of Oriental Studies. (Vol: 2. p.23-30).*https://hos.openjournals.ge/index.php/hos/article/view/2775